განკარგულება:**g-31. 31242082**
თარიღი:**26/07/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №36

2024 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 59-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულების მე-2 მუხლის შინაარსში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად ნაცვლად - 1996,62 (ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარისა მიეთითოს - 1 196,62 (ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი